თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს სხდომის

ო ქ მ ი №4

ქ. თელავი 18 ივნისი 2018 წელი

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი**

**სხდომას ესწრებოდნენ** ფრაქციის წევრები: **გიორგი ქიზიყელაშვილი, დავით გოგოშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სოფელ ფშავლის ცენტრში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის დამონტაჟება.

   მომხს. მ. მარკოზაშვილი
2. შიდა საუბნო გზების შეკეთება - მოხრეშვა.

   მომხს. მ. მარკოზაშვილი
3. სპორტული ინვენტარის კერძოდ, შტანგის დისკოების შეძენა.

   მომხს. მ. მარკოზაშვილი

**მოისმინეს:** 1. სოფლის ცენტრში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის დამონტაჟების შესახებ.

მომხს. მ. მარკოზაშვილი

**მ. მარკოზაშვილმა** აღნიშნა, რომ გზის აღნიშნული მონაკვეთი მდებარეობს თუშეთისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც ზაფხულობით გადატვირთულია და შეინიშნება ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიური მოძრაობა, როგორც მოსახლეობამ აღნიშნა ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევასაც, ამდენად მათი

აზრით სხვა მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია გზის ამ მონაკვეთზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის დამონტაჟება.

მოისმინეს: 2. შიდა საუბნო გზების შეკეთება-მოხრეშვა.

მომხს. მ. მარკოზაშვილი

აზრი გამოთქვეს: გიორგი ქიზიყელაშვილმა აღნიშნა: მოგეხსენებათ, რომ სოფელში მიმდინარე გაზიფიცირების გამო დაზიანებულია შიდა საუბნო გზები, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის პარალელურად მიმდინარეობს დაზიანებული გზების შეკეთება-მოხრეშვა, რამოდენიმე გზა მაინც რჩება შესაკეთებელი.

მოსახლეობა ითხოვს ამ პრობლემების შეძლებისდაგვარად მოგვარებას.

გადაწყვიტეს: საკითხი წარედგინოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს: სოფელ ფშაველში, სატრენაჟორო დარბაზისთვის სპორტული ინვენტარის კერძოდ, „შტანგის დისკოების" შეძენის შესახებ.

მომხს. მ. მარკოზაშვილი

აზრი გამოთქვეს: გიორგი ქიზიყელაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელში არსებულ კულტურის სახლში არის სატრენაჟორო დარბაზი, სადაც ესაჭიროებათ სპორტული ინვენტარი, კერძოდ „შტანგის დისკოები".

გადაწყვიტეს: საკითხი წარედგინოს ბიუროს სხდომას.

ფრაქციის თავმჯდომარე: [signature] მ. მარკოზაშვილი